საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/118

ქ. ბათუმი **20** ივნისი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა" სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოყვანისათვის (გარე მობილობის) კრედიტების აღიარების კომისიის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2022 წლის 10 ოქტომბრის N01-08/920 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა" სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოყვანისათვის გარე მობილობის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2023 წლის 12 ივნისის N01-02/106 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2023 წლის 19 ივნისის №708423 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **,,ბუღალტრული აღრიცხვა"** სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ-ში პროფესიულ სტუდენტთა გადმოყვანისათვის (გარე მობილობის ფარგლებში) კრედიტების აღიარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ჯილდა აბაშიძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, თავმჯდომარე;

ბ) **თამთა ბერიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ხელმძღვანელი;

გ) **ნინო გოგმაჩაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის სპეციალისტი;

დ) ნათია ტაკიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ე) ირმა აბაშიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული განათლების მასწავლებელი;

2. კრედიტების აღიარების კომისიამ იმუშაოს **2023 წლის 21 ივნისს, 12:00-დან 14:00 საათამდე** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №306).
3. აღიარების კომისიის გადაწყვეტილება გარე მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს ეცნობოს **2023 წლის 22 ივნისს** (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №306).
4. კრედიტების აღიარების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
5. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს გარე მობილობის მსურველთათვის ინფორმაციის მიწოდება და გარე მობილობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,სამართლებრივი აქტები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**